

შეზღუდული სანივთო უფლებების პრობლემური საკითხები ქართულ
სამოქალაქო სამართალში
(შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

თინათინ გადაბაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია სულხანიშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

თინათინ გადაბაძე. 06.23.2016

აბსტრაქტი

შეზღუდულ საწვინო უფლებებთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება ითქვას, რომ არაკორექტული თარგმანისა და ნორმების არასრული რეცეფციით, ხშირად გაუგებრობასა და აზრთასხვადასხვაობას იწვევს მხარეებსა თუ მეცნიერ იურისტებს შორის. ნორმების სიმწირის, არაკონკრეტიზებისა და საზოგადოების არაინფორმირებულობის გამო, სამწუხაროდ მათი მნიშვნელობა დღევანდელ ცხოვრებაში დღითიდღე მცირდება.

ნაშრომი მოიცავს თითქმის ყველა იმ პრობლემურ საკითხს, რაც დაკავშირებულია ნივთის შეზღუდულ სარგებლობასთან.

განხილულია აღნაგობის ცნება და შეძლებისდაგვარად ამოწურულია ნაგებობასთან დაკავშირებული საკითხები, გავლენულია პარალელი გერმანულ სამოქალაქო სამართალთან და განხილულია ნაგებობის ქონა, როგორც აღნაგობის უფლების არსებითი შემადგენელი ნაწილი, ასევე ნაგებობის აგება განხილულია უფლებასა და ვალდებულების ჭრილში, ნაშრომი ასევე ეხება არნაგობის უფლების საფუძველზე აშენებული შენობა-ნაგებობის სამართლებრივ რეჟიმს და ნაგებობას, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას. გაანალიზებულია აღნაგობის შინაარსის განსაზღვრასთან დაკავშირებული ბუნდოვანებები...

საუბარია უზუფრუქზე და არაზუსტი თარგმანით გამოწვეულ იმ ხარვეზებზე, რაც დაკავშირებულია მის ცნებასთან. ასევე, ქართული და გერმანული კანონმდებლობების ანალიზის საფუძველზე ნამსჯელია ნაყოფსა და სარგებელზე, რომელიც არ არის მიღებული ნივთის ჩვეულებრივი სამეურნეო გამოყენებით. გაანალიზებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 245-ე მუხლის მე-6 პუნქტის მეორე ნაწილი, რომლის მიხედვითაც მესაკუთრე არ არის ვალდებული ნივთის შენარჩუნებისთვის აუცილებელი ზომების მიღებაზე.

სერვიტუტის დადგენასა და მისი არსებობის პირობებთან დაკავშირებით ნაშრომში მოყვანილია სასამართლოს განმარტებები. ქართული და გერმანული სამართლის ფონზე, მიმოხილულია მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების სერვიტუტი. საუბარია იმ მნიშვნელობაზე, რაც ამ სერვიტუტს თანამედროვეობაში გააჩნია. განხილულია ნაგებობით სარგებლობის უფლება, როგორც სერვიტუტის განხორციელების ერთ-ერთ საშუალება. შეძლებისდაგვარად გაცემულია პასუხი იმ ბუნდოვანებისთვის, რაც დაკავშირებულია უფლებამოსილი პირის მიწის ნაკვეთის გაყოფასთან. ნაშრომში ასევე გაეცნობით აუცილებელი გზის დადგენის ქართულ სასამართლო პრაქტიკას.

სამაგისტრო ნაშრომი ძირითადად დაწერილია ქართული და გერმანული კანონმდებლობის შედარების საფუძველზე. გერმანული კანონმდებლობიდან განხილულია ის რეგულაციები, რომელსაც ჩვენთან არ ვხვდებით და შეძლებისდაგვარად გაცემულია პასუხი ნაშრომში დასმულ კითხვებზე.

Abstract

Related to the limited property rights issues can be said that the incorrect translation or incomplete reception of the norms, often misunderstandings and makes differences of opinion between the parties or scientist-lawyers. Because of lack of standards, not concrete and not informed society, unfortunately their importance in today's life is gradually reducing.

The work includes almost all those problematic issues, which are related to the limited use of the item.

The work discusses the concept of the structure and has been resolved as far as possible the issues related to the structure, there is paralleled to the German civil law and discussed to have a building, as an essential component of the right to build, as well as construction of building is discussed in terms of the rights and obligations. The work also refers to the legal regime and construction of the building-construction on the basis of the right to build, as a means of the request ensuring. Analyzes the structure of the content related to the uncertainties of determination...

We are talking about the usufruct and inaccurate translation caused on those gaps, which are related to its concept. Also, on the basis of the analysis of German and Georgian legislation is discussed the fruits and benefits, which is not the usual thing for agricultural use. There is analyzed the second part of the 6th paragraph of the Article 245 of the Civil Code of Georgia, according to which the owner is not obligated to take the necessary measures for the maintenance of the item.

Related to the establishment and existence conditions of the servitude, in the work are given some of the court definitions. On the background of Georgian and German law, is reviewed the implementing actions to refrain servitude. We are talking about the importance of what this servitude has in modernity. There is discussed the right to use the building as one of the means for the implementation of the servitude. As far as possible has been answered on that uncertainty, which

is related to the person entitled to the land division. In the work you also introduce to the necessary ways for the establishment of the Georgian Court practice.

Master's work is written based on the comparison of the Georgian and German legislation. From the German law is discussed those regulations, which we do not met and as far as possible the answer is given to the questions rose in the work.